სწორად დღევანდელი მოსწავლეების ხელშია ჩვენი დედა ბუნების, დედა სამყაროს დაცვა/გაფრთხილების საქმე, რადგან არსებული გამოკვლევების საფუძველზე, ადამიანის აქტიური ჩარევით დარღვეულია უმნიშვნელოვანესი სასიცოცხლო პროცესების მიმდინარეობა ჩვენს პლანეტაზე.

ოცდამეერთე საუკუნის ახალი თაობა დიდი გამოწვევების წინაშე დგას, უფრო სწორად უმეტესწილად მათზეა დამოკიდებული რამდენად გაუხანგრძლივებენ დედამიწას არსებობის ჟამს, ასევე როგორ შეძლებენ მილიონობით ადამიანების გადარჩენას სხვადასხვა უკურნებელი დაავადებებისგან, ეს ძალიან საპასუხისმგებლო და საინტერესო პროცესია. ამისთვის კი საჭიროა ცოდნის გაღრმავება. თქვენ ეს შეგიძლიათ ძვირფასო მოსწავლეებო, მე კი, გზას დაგილოცავთ ამ რთულ და თავგადასავლებით სავსე სამყაროში სამოგზაუროდ.

პატივისცემით, თქვენი ირმა მასწავლებელი

# UG სკოლის დირექტორის, თინათინ თოფურიას სიტყვა სკოლის ქიმიის კლუბ და სამეცნიერო ჟურნალ "ChemField"- თან დაკავშირებით

"ჩემთვის ძალიან სასიხარულოა მოსწავლეების მსგავსი ჩართულობა და აქტიური მონაწილეობა საკლუბო ცხოვრებაში. როდესაც მე მოსწავლე ვიყავი, არ არსებობდა ამდენი შესაძლებლობა ამდენი მიმართულების განხრით, ჩვენს სკოლაში დღესდღეობით არსებულ კლუბებთან შედარებით.

ჩვენი სკოლა მიზნად ისახავს, რომ ყველა ბავშვმა მიაგნოს თავის ინტერესს. როდესაც ადამიანს გულწრფელად აინტერესებს რაღაც, მაგ საკითხს ბუნებრივია ყველაზე მეტად ჩაეძიება. მე ძალიან მიხარია როდესაც ვუყურებ კლუბის ფუსფუსს, რადგან ეგ არის ზუსტად ის მომენტი, როდესაც სკოლისა და მოსწავლეების მიზნები და სურვილები ერთიანდება.

სიმართლე რომ გითხრათ, არ ვიცოდი, რომ ეს კლუბი თავისი აქტივობებისა და საქმიანობის შედეგად გამოსცემდა სამეცნიერო ჟურნალს. ჩვენს სკოლას აქამდე არ ჰქონია მსგავსი ტიპის გამოცემა, ეს იქნება პირველი სამეცნიერო ჟურნალი ჩვენი სკოლის ისტორიაში. დიდი იმედი მაქვს, რომ ეს პროექტი კიდევ უფრო განვითარდება, დაიბეჭდება, მიეცემა ყოველწლიური ფორმატი და შედეგად ჩამოყალიბდება მუდმივმოქმედ სამეცნიერო ჟურნალად. ამ ჟურნალში აისახება ჩვენი სკოლის სამეცნიერო ჭრილში არსებული ყველა პროექტი და მიღწევა. ეს შემდგომ გადაეცემა მომავალ თაობებს, რომ მათ გაუღვივდეთ ინტერესი ამ მიმართულებისადმი და შესაძლოდ საკუთარი თავებიც აღმოაჩინონ მეცნიერებაში."



# "ChemField": იდეის წარმოქმნიდან განხორციელებამდე

UG სკოლის ქიმიის კლუბი, "ChemField", ჩამოყალიბდა 2024 წლის ნოემბერში. კლუბის მისიაა გააღვივოს ინტერესი სამეცნიერო მიმართულებებისადმი და განავითაროს მეცნიერული აზროვნება მერვედან მეთორმეტე კლასის მოსწავლეებში. თითოეული კლუბის შეხვედრა მოიცავს დამაფიქრებელი მეცნიერული იდეების განხილვას, განვლილ თემებთან ბმულ საინტერესო ექსპერიმენტების ჩატარებასა და სამეცნიერო კვლევების განხორციელების ულევ შესაძლებლობას.

ეს ჟურნალი დაფუძნებულია ჩვენი სკოლის გამორჩეული ქიმიის მასწავლებლის, ირმა ყარალაშვილის მიერ და გამოშვებული ჩვენი სკოლის ქიმიის კლუბის მოსწავლეების ჩართულობით. ჟურნალის მიზანია გააზიაროს ჩვენი სკოლისა და მოსწავლეების საინტერესო მიღწევები, სიახლეები და ინოვაციები საბუნებისმეტყველო მეცნიერებების მიმართულებით.

"Atoms make magic!" – ChemField-ის სლოგანი

"The important thing is not to stop questioning. Curiosity has its own reason for existing." - ალბერტ აინშტაინი



# UG სკოლის მოსწავლეები ნორჩ ფიზიკოსთა საერთაშორისო ტურნირზე

2020-დან მოყოლებული, UG სკოლის ახალგაზრდა ფიზიკოსთა გუნდი იღებს მონაწილეობას ნორჩ ფიზიკოსთა საერთაშორისო ტურნირში (USAYPT) საქართველოს უნივერსიტეტის დაფინანსებით.

ეს პრესტიჟული ტურნირი იწვევს საუკეთესო სკოლებს, რომ მონაწილეობა მიიღონ მეცნიერულ დებატებსა და კვლევაში. წელს, UG სკოლა შეეჯიბრა შტატების ყველაზე ძლიერ 16 სკოლას და წარმატებით დაიკავა მეხუთე ადგილი.

მონაწილეები საერთაშორისო ტურნირიდან დაბრუნდნენ კარგი შედეგებითა და მეტი გამოცდილებით. მოსწავლეების გამორჩეული მიზანდასახულობის და შრომისმოყვარეობის აღსანიშნავად, სკოლამ მათ გადასცა სერტიფიკატები.

"ეს გამოცდილება ჩემთვის ძალიან ღირებული იყო. ძალიან სასარგებლო იყო იმის ნახვა, თუ როგორ მუშაობდნენ და ემზადებოდნენ მონაწილეები ამ ტურნირისთვის. მე მომეცა გარკვეული წარმოდგენა იმის შესახებ, თუ როგორ იმართება მსგავსი შეჯიბრებები. მთლიანობაში საკმაოდ სასიამოვნო გამოცდილება იყო." - ელიზაბეტ გეგუჩაძე, პირველად მონაწილე მოსწავლე ნორჩ ფიზიკოსთა საერთაშორისო ტურნირში.



*USAYPT, UG* სკოლა, 2025



ეს ტურნირი აძლევს მონაწილე სკოლებს შესანიშვნავ შესაძლებლობას, რომ ერთმანეთს გაუზიარონ მათ მიერ ჩატარებული კვლევები, გააღრმავონ თითოეული ამოცანის მიღმა არსებული მეცნიერული ცოდნა და რაც მთავარია, განავითარონ კრიტიკული აზროვნების უნარები და მონაწილეთა მსოფლმხედველობა.

"ამ ტურნირმა გაზარდა ჩემი ინტერესი ფიზიკის მიმართ და მომცა განსხვავებული, უფრო გაფართოებული გლობალური პერსპექტივა. იგი დამეხმარა იმის წარმოდგენაში, თუ რა შემეძლო მიმეღწია მომავალში და გახდა ერთ-ერთი მიზეზი, რატომაც დავინტერესდი შეერთებული შტატების უნივერსიტეტებში ჩაბარებით." - დავით ტატუნაშვილი, მრავალგზის მონაწილე ნორჩ ფიზიკოსთა საერთაშორისო ტურნირში.

"ნორჩ ფიზიკოსთა საერთაშორისო ტურნირი დამეხმარა ლოგიკური აზროვნების განვითარებაში და ჩამიდო საფუძველი ისეთი პროგრამების გამოყენების შესწავლაში, როგორიცაა "Photoshop". ეს გამოცდილება ძალიან წამადგება ჩემს მომავალ საუნივერსიტეტო ცხოვრებაში. სხვებსაც ვურჩევ ამ საინტერესო შესაძლებლობაში მონაწილეობის მიღებას." - დავით მელიქიშვილი, ნორჩ ფიზიკოსთა საერთაშორისო ტურნირის მონაწილე.

UG სკოლა 2020 წლიდან იღებს მონაწილეობას ამ ღონისძიებაში და აღწევს წარმატებებს, გენადი და მიხეილ კიანების შესანიშნავი მენტორობისა და მათი საერთაშორისო გამოცდილების საფუძველზე.

"ტურნირი მოითხოვს პრობლემის გადაჭრის გზის პოვნას და არა მხოლოდ პასუხის გაცემას, რაც მნიშვნელოვნად ავითარებს მონაწილეთა უნარებს. შეჯიბრის მიზანია მონაწილეების დამეგობრება." - გენადი კიანი ტურნირის შესახებ.



UG SCHOOL

Control transc

Con





*USAYPT, UG* სკოლა, *2024* 



*USAYPT, UG* სკოლა*, 2024* 


### UG სკოლის მოსწავლეების წარმატება I-FEST 2025-ზე



*UG* სკოლა, *I-FEST 2025* 

I-FEST, ინჟინერიის, მეცნიერებისა და ტექნოლოგიის საერთაშორისო ფესტივალი არის ATAST-ის, ტუნისის ასოციაციის მეცნიერებისა და ტექნოლოგიის მომავლის მიერ მოწყობილი 9 დღიანი ღონისძიება. ფესტივალში მონაწილეობა შეუძლიათ 14 წლიდან 24 წლამდე ახალგაზრდებს. ეს საერთაშორისო ღონისძიება შეიქმნა კრეატიულობის, კვლევისა და ინოვაციური უნარების გაღვივების მიზნით.

ჩვენი სკოლა ამ გამორჩეულ, საკმაოდ მაღალ აკადემიურ დონეზე მდგომ კონფერენციაში მონაწილეობას იღებს 2023 წლიდან. აღსანიშნავია განსაკუთრებული მიღწევა, რომ ჩვენი მოსწავლეების პროექტები საუკეთესო თემების ტოპ-ათეულში ხვდება ყოველ წელს.





*UG* სკოლა, *I-FEST 2025* 

ოქროს მედლები გადაეცათ:

- ნიტა აბულაძეს და ანა ტყემალაძეს
- ლილე ხვედელიძეს და თამარ გვალიას (ციფრული ხელოვნების კატეგორია, ხელმძღვანელი - ნინო მირიანაშვილი)



*UG* სკოლა, *I-FEST 2025* 

რინჯაოს მედლები გადაეცათ:

- ნიკოლოზ კოტლიარევსკის და ვაჟა ტუღუშს
- მერაბ სამხარაშვილს

(ფიზიკის კატეგორია, ხელმძღვანელები - მიხეილ და გენადი კიანები)



*UG* სკოლა, *I-FEST 2023* 



*UG* სკოლა, *I-FEST 2023* 



*UG* სკოლა, *I-FEST 2024* 

"ჩვენს თემებზე თვეზე მეტს ვმუშაობდით. ყველაფერს სრული პასუხისმგებლობით ვეკიდებოდით. საბოლოოდ, ამ პროცესმა ჩვენზე ისეთი დადებითი შთაბეჭდილება მოახდინა, რომ წარდგენამდე თითქმის აღარც ვნერვიულობდით და გარკვეულწილად შეგვიყვარდა ჩვენი პროექტი. როცა გიყვარს ის თემა, რომელზეც საუბრობ, სიტყვები თავისთავად მოდის. აღარც ფიქრობ ტექსტზე, გულით ყვები და ამ გრძნობას სხვებსაც გადასცემ. ამ გამოცდილების ყველაზე ღირებული ნაწილი ჩემთვის იყო სხვადასხვა ქვეყნის წარმომადგენლებთან კონტაქტის დამყარება. არამხოლოდ სხვა ქვეყნების წარმომადგენლები იყვნენ საოცრად მეგობრულები, არამედ კონფერენციის სტაფის წევრებიც — საოცრად თბილი და მოსიყვარულე ადამიანები იყვნენ. თვითონ პრეზიდენტი, ანუ ის, ვინც მთელი ღონისძიების ხელმძღვანელი იყო, ჩვენთან ერთად მგზავრობდა, ფოტოებს იღებდა და იმდენად თავმდაბალი იყო, რომ თავიდან ვერც მიხვდებოდი, რომ ასეთი მნიშვნელოვანი პიროვნება იყო. გულწრფელად ვურჩევ ყველა ადამიანს, რომ მონაწილეობა მიიღოს ასეთ კონფერენციაში — ეს შეუდარებელი გამოცდილებაა. იქ არამარტო პროფესიულად იზრდები, არამედ სხვა ხალხის კულტურასაც ეცნობი და 9 დღეში ნამდვილად სწავლობ ყველაფერს კომუნიკაციას, დამოუკიდებლობას, გუნდურობასა და საკუთარ თავზე მუშაობას." - წლევანდელი ოქროს

მედალოსნის, ნიტა აბულაძის კომენტარი.

# ინტერვიუ მეცნიერ მამუკა კოტეტიშვილთან

ბატონი მამუკა კოტეტიშვილი არის მიკრობიოლოგიისა და მოლეკულური გენეტიკის პროფესორი, საქართველოს უნივერსიტეტის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის კვლევითი ექსპერტი, "ერთიანი ჯანმრთელობის ინსტიტუტის" დირექტორი და აღიარებული პიროვნება ინფექციური დაავადებების მოლეკულური ეპიდემიოლოგიის სფეროში. მას აქვს მრავალი პუბლიკაცია, ძირითადად პათოგენების გენეტიკური დახასიათების შესახებ, რომლებიც საფრთხეს უქმნიან მოსახლეობის ჯანმრთელობას.

ბატონი მამუკას ექსპერიმენტული ცოდნა და გამოცდილება საერთაშორისოდ აღიარებული გახდა მას შემდეგ, რაც იგი მიწვეული იყო კონსულტანტად სამუშაოდ ჰარვარდის უნივერსიტეტის ეპიდემიოლოგიის კათედრაზე, საზოგადოებრივი ჯანდაცვის სკოლაში, ტუბერკულოზის წინააღმდეგ საბრძოლველად. ასევე, ბატონმა მამუკამ მყარი ფუნდამენტი ჩაუდო ამ მიმართულებით კვლევებს 9 წლის განმავლობაში, წამყვან პოზიციებზე მუშაობისას მერილენდის სამედიცინო სკოლაში.

მისი კვალიფიკაციითა და საერთაშორისო მიღწევებით დაინტერესებულმა "ChemField"-ის წევრებმა დაგეგმეს ინტერვიუ პროფესორ მამუკა კოტეტიშვილთან, რათა უფრო ახლოს გაცნობოდენ მის სამეცნიერო გზას, მოესმინათ მისი მოსაზრება საქართველაში მკვლევარების წინაშე არსებული დაბრკოლებების შესახებ, მისი შეხედულებები ეთიკასთან, განათლებასა და სამეცნიერო აღმოჩენების ფილოსოფიურ სიღრმესთან დაკავშირებით.



პროფესორი კოტეტიშვილი



ინტერვიუს პროცესი

ეს დიალოგი ავლენს ღრმა ხედვას მეცნიერების, ეთიკისა და თანამედროვე სამყაროში მკვლევარების როლის განვითარების შესახებ.

Q: რა იყო ის მომენტი, როდესაც მიხვდით, რომ გსურდათ მეცნიერი გამხდარიყავით? A: მაშინ მივხვდი, რომ მსურდა მეცნიერი გავმხდარიყავი, როდესაც 23-24 წლის ასაკში გავიაზრე, რომ ჩემი ცხოვრების დიდი ნაწილი თუ უნდა გამეტარებინა სამსახურში, მაშინ ეს უნდა ყოფილიყო რაღაც ისეთი, რაც ძალიან დამაინტრესებდა. და ეს არჩევანი იყო მეცნიერების ის სფერო, სადაც დღეს ვარ.

Q: როგორია ბიოლოგის/მეცნიერის გზა საქართველოში - რა გამოწვევები გაქვთ პირადად გამოვლილი?

A: საქართველოში მეცნიერებისთვის უმთავრესი დაბრკოლებები და გამოწვევები არის ორი ტიპის რესურსი: ხელსაწყოები და კადრები. ხელისუფლებას არ ესმის რომ მეცნიერება არის ფუნდამენტი და რომ იგი აუცილებელია ქვეყნისა და საზოგადოების გასავითარებლად. ამ რესურსებისთვის საჭიროა საკმაოდ სერიოზული შესაბამისი ბიუჯეტი, რასაც დღესდღეობით არ გამოყოფს ხელისუფლება, თანამედროვე სამეცნიერო კვლევები უმეტეს შემთხვევაში საჭიროებს ძალიან ზუსტ ხელსაწყოებს. ასევე, სერიოზულ პრობლემას წარმოადგენს დეფიციტი მაღალკვალიფიციური პროფესორ - მასწავლებლებისა, რომლებმაც უნდა ასწავლონ მოსწავლეებს/სტუდენტებს, რათა გამოზარდონ თანამედროვე ტიპის მეცნიერები.

Q: როგორ აფასებთ სამეცნიერო წარუმატებლობებს - როგორც მარცხს თუ გამოცდილებას?

A: მეცნიერება არის კვლევა. კვლევა წინასწარ წარმატების გარანტიას არ იძლევა, თუმცა კარგი მეცნიერის თვისებაა, ისეთი პროექტი დაგეგმოს, რომ მისი წარმატების ალბათობა მაღალი იყოს. რა თქმა უნდა, წარუმატებლობა არ არის კარგი, თუმცა ერთის მხრივ შეიძლება განვითარების ერთ-ერთ გზად განვიხილოთ, რადგან წარუმატებლობის შემთხვევაში იძულებული ხდები, რომ იმ კონკრეტულ საკითხზე მეტი გაიგო. შესაბამისად, წარუმატებლობას განვიხილავდი უფრო როგორც გამოცდილებას, ვიდრე მარცხს.

Q: გვსმენია, რომ გაქვთ ბევრი პუბლიკაცია. როგორ ართმევთ თავს და რა გზით წერთ სტატიებსა და სამეცნიერო შინაარსის ტექსტებს?

A: საერთაშორისო კვალობაზე ვერ ვიტყოდი რომ ბევრი პუბლიკაცია მაქვს, მაგრამ არსებული პუბლიკაციების ხარისხით შემიძლია ვიამაყო. საბჭოთა კავშირის დროს, რაც უფრო გაუგებარი იყო შენი ნამუშავარი, მით უფრო ჭკვიანი ჩანდი, თუმცა დასავლეთში საპირისპირო მეთოდიკა დამხვდა. შტატებში მასწავლეს, რომ აბსოლუტურად ყველა მკითხველს უნდა ესმოდეს რაც დაწერე. მეცნიერება ისედაც რთულია და რეკომენდირებულია, რომ ადვილად წასაკითხი ენით იყოს დაწერილი. მე მკითხველს ვუზიარებ ჩემს კვლევებს, რათა გაიგონ ის.



მზადება ინტერვიუსთვის



ფოტო მის ოფისში

Q: როგორ ფიქრობთ, უნდა შეიცვალოს თუ არა სამეცნიერო საგნების სწავლების მეთოდიკა სკოლებში?

A: სიმართლე გითხრათ, არ მაქვს შეხება სკოლებთან და მათი სწავლების მეთოდებთან, თუმცა როდესაც ვუყურებ და ვუსმენ აბიტურიენტებსა და ჩემს სტუდენტებს, ვხვდები, რომ რაღაც სწორად არ მიდის სკოლებში საბუნებისმეტყველო საგნების სწავლების მიმართულებით.

Q: რომელი დროის მეცნიერები შეიძლება აღვიქვათ უფრო ნიჭიერებად, ახლანდელი, თანამედროვე მკვლევარები, თუ ძველი დროის, შუა საუკუნეებში და არქაული პერიოდში მყოფი მეცნიერები, რომლებსაც არანაირი ხელსაწყო და თანამედროვე, ზუსტი მეთოდიკა არ გააჩნდათ?

A: არქაულ პერიოდში მეცნიერები ცოტანი იყვნენ და მათ უწევდათ აზროვნების ფორმების ლამის ნულიდან განვითარება. ახლანდელ ადამიანს კი აქვს უნარი, რომ ბევრად უფრო კომპლექსურად იაზროვნოს იმ დიდ სამეცნიერო ინფორმაციაზე და გამოცდილებაზე დაყრდნობით, რაც ხანგრძლივი საუკუნეების მანძილზე დაგროვდა. იქიდან გამომდინარე, რომ არ არსებობის ამ ორ პერიოდს შორის ნიჭის გარკვეული საზომი, მე მიჭირს ამ კითხვაზე პასუხის გაცემა.

Q: გაქვთ თუ არა რაიმე საყვარელი მეცნიერული თეორია, ფორმულა ან ფაქტი და რატომ?

A: როგორც ასეთი, არ არსებობს თეორია, რომელიც აბსოლუტურად ყოველ შემთხვევაში მართალი და ზუსტია. სწორად მაგ მიზეზით ყველაზე მეტად მომწონს აინშტაინის ფარდობითობის თეორია. რაც შეეხება ბიოლოგიას, დარვინიზმი რასაკვირველია წამყვანი ფუნდამენტია, რომელსაც დროის უმეტესწილად ვეყრდნობით. ლამარკის მოსაზრებას, რომ ევოლუცია არის შინაგანი ძალების შემოქმედების შედეგი, არ ვეთანხმები, თუმცა მასში არის გასათვალისწინებელი და დღემდე გამოუკვლევი ელემენტები, რაც მომწონს.

Q: ვინ არის თქვენი საყვარელი მეცნიერი და რატომ?

A: ჩემთვის გამორჩეული მეცნიერები არიან რა თქმა უნდა აინშტაინი და ნიუტონი. უფრო მეტად ნიუტონი, რადგან აინშტაინის ფარდობითობის თეორიაც კი ნიუტონის გრავიტაციის კანონს ითვალისწინებს; ამასთანავე, ნიუტონმა შექმნა ფერთა თეორია და საფუძველი ჩაუყარა კალკულუსს. ასევე ძალიან მიყვარს ინგლისელი ფილოსოფოსი ბერტრანდ რასელი.

Q: თქვენი აზრით, სად გადის ზღვარი მეცნიერულ ცნობისმოყვარეობასა და ეთიკურ ლიმიტებს შორის?

A: მეცნიერულ ცნობისმოყვარეობასა და ეთიკურ ლიმიტებს შორის ზღვარი გადის ჰუმანიზმზე. სადაც რაიმე ჰუმანიზმს კვეთს, იქვე მთავრდება ეთიკა. არ ღირს არანაირი მეცნიერული საქმის გაკეთება, თუ კი ის ჰუმანიზმს ეწინააღმდეგება.

# ინტერვიუ საქართველოს უნივერსიტეტის რექტორთან, კოკა თოფურიასთან

ბატონი კოკა თოფურია არის საქართველოს უნივერსიტეტის რექტორი, საქართველოში დღესდღეობით ერთ-ერთი ყველაზე მაღალი რეიტინგის მქონე უნივერსიტეტის ხელმძღვანელი.

ამ ჟურნალის ფარგლებში "ChemField"-ის წევრებს საშუალება მიეცათ, რომ ესაუბრათ ბატონ კოკა თოფურიასთან. მეცნიერებასა და ინოვაციას შორის კავშირის ხაზგასასმელად მოსწავლეების მიზანი იყო ჩაღრმავება იმ ხედვაში, ფასეულობებსა და ლიდერობაში, რომელიც აყალიბებს საქართველოს ერთ-ერთ საუკეთესო უმაღლეს სასწავლებელს.

Q: თქვენ ხართ საქართველოს უნივერსიტეტის რექტორი. რას ნიშნავს და რა იგულისხმება ამ პოზიციაში თქვენთვის?

A: უნივერსიტეტის რექტორობა გულისხმობს სტუდენტებისა და პროფესორებისთვის ისეთი გარემოს შექმნას, სადაც მათ შეეძლებათ საკუთარი ნიჭებისა და საკუთარი თავის რეალიზება. რექტორის მოვალეობაა, რომ სტუდენტებსა და პროფესორ-მასწავლებლებს შეუქმნას ისეთი გარემო, რომელიც უზრუნველყოფს მათი საინტერესო საუნივერსიტეტო ცხოვრების არსებობასა და მათი შესაძლებლობების განვითარებას/გამომჟღავნებას.

Q: რა თვისებები უნდა ჰქონდეს ხელმძღვანელს?

A: ლიდერობა, პირველ რიგში, გულისხმობს შენი გუნდის დარაზმვას რაღაც საერთო საქმისკენ. თუ შენ მოახერხებ შენი გუნდის წარმატებულად შეკვრას და მათში საქმისადმი ენთუზიაზმის ჩასახვას, ესე იგი შენ კარგი ლიდერი ხარ. საქმის წინამძღოლმა გუნდში შემავალ ყველა ადამიანს უნდა აგრძნობინოს, რომ მათი როლი ამ სამუშაოში არის მნიშვნელოვანი და რომ სინერგიის ეფექტით კიდევ უფრო მეტ და საინტერესო შედეგებზე გავლენ.

Q: ოდესმე გიფიქრიათ თუ არა თქვენს უნივერსიტეტში ახალი ფაკულტეტების დამატებაზე? თუ კი, რა ფაკულტეტებია?

A: უნივერსიტეტის პროგრამები და ფაკულტეტები სულ იხსნება და იხურება, სამყაროს ამჟამინდელი საჭიროებებისდა მიხედვით. აუცილებელია ისეთი ცოდნისა და უნარების მიღება, რომელიც შენი გარემოს ცვლილებისდა მიუხედავად წლების მერეც გამოგადგება. ამის გააზრების შედეგად, გავხსენით ინოვაციური ლიდერობის პროგრამა.

Q: UG-ზე რომ ფილმი გადაეღოთ, რა ჟანრის იქნებოდა და რომელი მსახიობი, ქართველი ან მსოფლიო ვარსკვლავი, ითამაშებდა თქვენს როლს? A: საქართველოს უნივერსიტეტზე გადაღებული ფილმი იქნებოდა სათავგადასავლო. როგორ შეიქმნა, აქამდე როგორ მოვიდა და რა გეგმები აქვს ამ უნივერსიტეტს, არის რისკებით აღსავსე, ერთი მთლიანი თავგადასავალი. ჩემს როლს ითამაშებდა ალბათ ჰარისონ ფორდი.

Q: გაქვთ თუ არა რაიმე საყვარელი სამეცნიერო პროექტი, რომელიც საქართველოს უნივერსიტეტს ჩაუტარებია? თუ კი, რომელი? A: ჩვენი უნივერსიტეტის მიერ ჩატარებული ჩემი საყვარელი კვლევა არის ის, თუ როგორ აღმოვაჩინეთ ვახტანგ გორგასლის შვილი, დაჩი. ჯერ თეორიულად აღმოაჩინეს, რომ ბევრი მოვლენა რომელიც ისტორიის განმავლობაში მომხდარა, არასწორ დროის პერიოდს მიუსადაგა საზოგადოებამ. ამისდა მიხედვით გამოაშკარავდა, რომ დაჩი მეფის ამბები ნაწილ-ნაწილ ისტორიის სხვადასხვა მონაკვეთებში იყო ჩასმული და სხვადასხვა ვიღაცებზე მიწერილი. ეს ინფორმაცია როდესაც შეიკვრა, აღმოჩნდა, თუ როგორ განადგურდნენ გორგასლები. დაჩი თავისი ნებით ჩაბარებულა და თავი გაუწირავს, რათა საქართველო არ აეოხრებინათ. დაჩი მოკლეს, მას თავი მოაჭრეს და შემდეგ ქართველებმა მოიპარეს მისი სხეული და დაასაფლავეს ტანიც და თავიც. ჩვენმა არქეოლოგებმა იპოვეს მეფე დარჩირის ტანი და თავი ცალ-ცალკე, სადაც უნდა ყოფილიყო მისი საფლავი. ახლა კეთდება გენეტიკური ექსპერტიზა, რომელიც სხეულის იდენტიფიცირებას მოახდენს და შესაძლოდ დაადასტურებს, რომ ის ნამდვილად დაჩია.

Q: რომ შეგეძლოთ ცვლილებების შეტანა, რას შეცვლიდით განათლების სისტემაში?

A: განათლების სისტემაში ძალიან ბევრი რამ არის შესაცვლელი. კერძო უნივერსიტეტებს კი აქვთ იმის საშუალება, რომ დამოუკიდებლად იმოქმედონ, თუმცა სახელმწიფო უნივერსიტეტები არიან შეზღუდულები იმ მხრივ, რომ ნებისმიერი რამის განხორციელება პოლიტიკურ, მთავრობის მისაღებ გადაწყვეტილებამდე მიდის. მე განვაკერძოებდი ისეთ სასწავლო დაწესებულებებს, რომლებსაც შეეძლებათ უკეთესები გახდნენ უფრო ეფექტური მართვის შედეგად. ასევე, კერძო მეპატრონის შემთხვევაში, ნებისმიერი არასწორი ნაბიჯი ან შეცდომა აისახება შემოსავალსა და ბიზნესზე, რაც მას აიძულებს, რომ დაფიქრებულად და წინდახედულად მართოს სკოლა თუ უნივერსიტეტი.

Q: გაქვთ თუ არა რაიმე საყვარელი მეცნიერული თეორია, ფორმულა ან ფაქტი და რატომ?

A: მეცნიერების დარგი, რომელიც არ მბეზრდება და მიყვარს, არის გეომეტრია. რატომღაც მსიამოვნებს და არ მღლის გეომეტრიული ამოცანების ამოხსნა.

Q: რა არის თქვენთვის წარმატება?

A: წარმატება არის გარკვეული დაკმაყოფილება, რასაც განიცდი სწრაფვისა და გარჯის შედეგად. წარმატება არ არის შემთხვევითი. წარმატება არის ძალისხმევის შედეგი.

Q: გქონიათ თუ არა ცხოვრებაში ისეთი შეკითხვები, რომლებზეც პასუხი ჯერ ვერ იპოვეთ? თუ ახლა გეცოდინებოდათ, რომ ნებისმიერ 3 შეკითხვაზე მიიღებდით სრულ, ჭეშმარიტ პასუხს - რას იკითხავდით? და საერთოდ, იკითხავდით თუ არა რამეს?

A: ნებისმიერი სამი კითხვის დასმა რომ შემეძლოს, რომელზეც მივიღებდი ჭეშმარიტ პასუხს, პირველ რიგში, ვიკითხავდი სულიერად უკვდავები თუ ვართ, ჩემი აზრით ძალიან მნიშვნელოვანია ადამიანისთვის იმის ცოდნა, რომ მისი სული სადღაც მაინც გააგრძელებს ცხოვრებას. ვიკითხავდი არსებობს თუ არა კეთილი ღმერთი და შესაბამისად ის მორალები და ეთიკა, რაც გვაქვს საზოგადოებას მართალია თუ არა. საბოლოოდ, ვიკითხავდი როგორ, რისთვის და რა მიზნით შეიქმნა სამყარო.

Q: დაახასიათეთ UG ერთი სიტყვით.

A: ერთ სიტყვაში ვერ ვატევ, მაგრამ UG რომ ორი სიტყვით დამეხასიათებინა, იქნებოდა ინოვაციური და მორალური.

Q: რა რჩევებს მისცემდით მომავალ UG-ის სტუდენტებსა და ზოგადად მომავალ თაობას?

A: მომავალ თაობას და ყველა ახალგაზრდას ვურჩევ, რომ ხელი მოკიდოს ისეთ საქმეს, რაც უყვარს. რათა გახდე კარგი პროფესიონალი, უნდა აირჩიო ისეთი დარგი, რაც გულწრფელად მოგწონს, არ უნდა გეშინოდეს სიახლეებისა და სიახლეების შემოტანის, უნდა იყო ინოვაციური, შემოქმედებითი და გაბედული.



კოკა თოფურია Science Expo-ზე

# UG სკოლის ყოველწლიური სამეცნიერო კონფერენცია

2019 წლიდან იუჯი სკოლის სამეცნიერო კონფერენცია მიზნად ისახავს მეცნიერების პოპულარიზაციასა და სკოლის მოსწავლეებში ამ დარგისადმი ინტერესის გაღვივებას. მონაწილეებს აქვთ შესაძლებლობა წარმოაჩინონ თავიანთი ცოდნა სამი მიმართულებით — ფიზიკაში, ბიოლოგიასა და ქიმიაში. კონფერენცია ტარდება საქართველოს უნივერსიტეტში, სადაც ჟიურის წევრებად უნივერსიტეტის პროფესორები მონაწილეობენ. კონფერენციის მონაწილეებს თავისუფლება აქვთ წარადგინონ ნებისმიერი თემა, რაც მათთვის საინტერესოა. ყველა მონაწილეს ეძლევა მონაწილეობის სერტიფიკატი, ხოლო გამარჯვებულები ჯილდოვდებიან საჩუქრებით.




სამეცნიერო კონფერენცია *2025* 

მონაწილე მოსწავლეების რაოდენობა ყოველწლიურად იზრდება, რაც უზრუნველყოფს უფრო მრავალფეროვან, საინტერესო აღმოჩენებს და სიღრმისეულ ხედვებს სხვადასხვა სამეცნიერო სფეროში. კონფერენცია მაღალ აკადემიურ დონეზე ხორციელდება და მოსწავლეების სიღრმისეული ცოდნა და შემოქმედება აღფრთოვანებს როგორც ჟიურის, ასევე მენტორებსა და აკადემიურ პერსონალს.

ამ წლის კონფერენციაზე წარმოდგენილი იყო სულ 32 თემა სამივე სამეცნიერო სფეროში. ფიზიკის მიმართულებით გამარჯვებულები იყვნენ:

- პირველი ადგილი ალექსანდრე მუჯირი, დავით ტატუნაშვილი
- მეორე ადგილი თინი ქურდაძე, ვაჟა ტუღუში
- მესამე ადგილი დავით მელიქიშვილი, მარიამ მელაძე



- პირველი ადგილი მერაბ სამხარაშვილი და ნიკოლოზ ჭეჭელაშვილი (როგორც გუნდი)
- მეორე ადგილი ელენე გონგაძე და რუსკა გოგიაშვილი (როგორც გუნდი)
- მესამე ადგილი ლიზი შენგელია და ნინო ელიზბარაშვილი (როგორც გუნდი)

იუჯი სკოლის სამეცნიერო კონფერენცია განაგრძობს მეცნიერული კვლევებისადმი სულისკვეთების გაღვივებასა და ხელის შეწყობას, რომ მოსწავლეებმა გადააბიჯონ ჩარჩოებს და იფიქრონ სტანდარტული ფარგლების მიღმა.



სამეცხიერო კონფერენცია *2025* 



სამეცნიერო კონფერენცია *2025* 

# Young Minds Science Expo 2025 (სამეცნიერო ფესტივალი)



Young Minds Science Expo 2025

UG სკოლისა და საქართველოს უნივერსიტეტის პარტნიორობის შედეგად, შეიქმნა ახალი და ძალიან საინტერესო პროექტი. 7 ივნისს, საქართველოს უნივერსიტეტის ეზოში პირველად გაიმართა Young Minds Science Expo 2025.

პროექტის მიზანია შემოქმედებითი და ინოვაციური აზროვნების ხელშეწყობა და საბუნებისმეტყველო საგნების სწავლისადმი ინტერესის გაზრდა და წახალისება.



Young Minds Science Expo 2025

ფესტივალში მონაწილეობა მიიღო 110 მოსწავლემ და 35 მასწავლებელმა თბილისისა და სხვა რეგიონების ქართულ და არაქართულენოვან საჯარო და კერძო სკოლებიდან. ჯამში წარდგენილი იყო 52 სამეცნიერო პროექტი. მასწავლებლების მონაწილეობა იყო ძალიან სასარგებლო და უზრუნველყო გამოცდილებისა და ცოდნის გაზიარება.

ღონისძიებაში მონაწილეობდა 13 სკოლა:

- ილია ჭავჭავაძის სახელობის ქალაქ ხაშურის №3 საჯარო სკოლა
- შოთა რუსთაველის სახელობის ქალაქ ხაშურის №9 საჯარო სკოლა
- ჯამბულ წურწუმიას სახელობის ქალაქ თბილისის № 94 საჯარო სკოლა
- ქალაქ თბილისის №166 საჯარო სკოლა
- ქალაქ თბილისის №169 საჯარო სკოლა
- ქალაქ თბილისის №177 საჯარო სკოლა
- ქალაქ თბილისის № 221 საჯარო სკოლა
- მარნეულის მუნიციპალიტეტის სოფელ დაშტაფის
   საჯარო სკოლა
- იუჯი სკოლა
- სკოლა პეგასი
- ამერიკული საერთაშორისო სკოლა პროგრესი, თბილისის ფილიალი
- ბაქსვუდის საერთაშორისო სკოლა, თბილისის ფილიალი
- მეექვსე საავტორო სკოლა

Young Minds Science Expo 2025



Young Minds Science Expo 2025

ახლად წამოწყებული პროექტი წარმატებით დასრულდა და თითოეულ მონაწილე მოსწავლეს გადაეცა სერტიფიკატი.

# სიახლეები მეცნიერებაში

მიუხედავად იმისა, რომ ეს ჟურნალი ძირითადად ჩვენი სკოლის ამბებზე და სიახლეებზეა ფოკუსირებული, ასევე მიზნად ისახავს იმას, რომ გაგაცნოთ მსოფლიოში მიმდინარე სამეცნიერო მიღწევები, აღმოჩენები, სიახლეები და თავად მეცნიერებზეც მოგაწოდოთ საინტერესო ინფორმაციები, რათა უფრო მკაფიოდ შეიგრძნოთ მეცნიერების ძალა და მნიშვნელობა გლობალური პრობლემების გადაჭრის მიმართულებით. მეცნიერება არის სფერო, რომელიც სცდება ეროვნულ საზღვრებს, კულტურასა და ენას. მეცნიერება ეძღვნება სამყაროსა და მის ფარგლებში არსებულის შესწავლას, რაც ყველას გვაკავშირებს და გვაერთიანებს.

მეცნიერებასთან დაახლოებისთვის და მისი მნიშვნელობის რეალურად განჭვრეტისთვის აუცილებელია და ამავდროულად საინტერესოც, რომ ვიცოდეთ, ვის რა წვლილი მიუძღვის მეცნიერების სხვადასხვა დარგის განვითარებაში. ამისათვის არ იქნებოდა ურიგო, რომ გარკვეული სიხშირით მოგვეწოდებინა ინფორმაცია კონკრეტული ნობელიანტებისა და მათი საქმიანობის შესახებ.

2024 წელს, ქიმიის დარგში ნობელის პრემია გადაეცათ დემის ჰასაბისს და ჯონ ჯამპერს, დევიდ ბეიკერთან ერთად, ცილის სტრუქტურის პროგნოზირებისა და პროექტირებაში, ხელოვნური ინტელექტის გამოყენებით.

2003 წელს, დევიდ ბეიკერმა თავად შექმნილი კომპიუტერული მეთოდების გამოყენებით შექმნა ახალი ცილა, უკვე არსებული ამინომჟავების გამოყენებით. ეს აღმოჩენა თანამედროვე ბიოქიმიაში გარდამტეხი მომენტი იყო. მისმა ნაშრომმა აჩვენა კავშირი ტექნოლოგიასა და მეცნიერებას შორის და ის, თუ როგორ შეუძლიათ ციფრულ ინსტრუმენტებს ხელი შეუწყონ მსგავსი აღმოჩენების გაკეთებას.

მეცნიერები დიდი ხნის განმავლობაში აწყდებოდნენ იმ გამოწვევას, რომ ცილების სამგანზომილებიანი სტრუქტურის პროგნოზირება მხოლოდ მათი ამინომჟავების თანმიმდევრობის ცოდნით არ შეეძლოთ. "Google DeepMind"-ის მკვლევარებმა, დემის ჰასაბისმა და ჯონ ჯამპერმა ეს დაბრკოლება გადალახეს ხელოვნური ინტელექტის ხელსაწყოს შემუშავებით, რომელიც ღრმა სწავლების მეშვეობით თითქმის ყველა ცნობილი ცილის სტრუქტურის ზუსტ პროგნოზირებას ახდენს. ამ გამოგონებას, "AlphaFold"-ს, მნიშვნელოვანი ზეგავლენა აქვს წამლების აღმოჩენაზე, ანტიბიოტიკების მიმართ რეზისტენტობაზე და მრავალ სხვა სფეროზე.

# გამოყენებული ლიტერატურა

- I-FEST. "About I-FEST<sup>2</sup>." *i-fest-tunisia.org.* წვდომის თარიღი: 2025 წლის მაისი.
- Nobel Prize. "David Baker Facts 2024." www.nobelprize.org. წვდომის თარიღი: 2025 წლის ივლისი.
- Nobel Prize. "Demis Hassabis Facts 2024." www.nobelprize.org. წვდომის თარიღი: 2025 წლის ივლისი.
- Nobel Prize. "How it started." www.nobelprize.org. წვდომის თარიღი: 2025 წლის ივლისი.
- Nobel Prize. "John Jumper Facts 2024." www.nobelprize.org. წვდომის თარიღი: 2025 წლის ივლისი.
- ერთიანი ჯანმრთელობის ინსტიტუტი. "Leadership; Administrative and Scientific Leadership." *ohi.ug.edu.ge/page/leadership.* წვდომის თარიღი: 2025 წლის ივნისი.
- საქართველოს უნივერსიტეტი. "მამუკა კოტეტიშვილი." ug.edu.gelen/academic-pers. წვდომის თარიღი: 2025 წლის ივნისი.
- საქართველოს უნივერსიტეტი. "Young Minds Science Expo 2025." Facebook, 10 June 2025. www.facebook.com/ug.universityofgeorgia/posts. წვდომის თარიღი: 2025 წლის ივლისი.
- UG სკოლა. "I-FEST 2025-ის გამარჯვებულებისა და NHSMUN კონფერენციის მონაწილეების დაჯილდოება." ugschool.edu.ge/public/en/news. წვდომის თარიღი: 2025 წლის მაისი.
- UG სკოლა. "ამერიკის ნორჩ ფიზიკოსთა ტურნირი 2023." ugschool.edu.ge/public/en/news. წვდომის თარიღი: 2025 წლის მარტი.

- UG School. "UG სკოლის გრანდიოზული გამარჯვება I-FEST 2025-ზე." ugschool.edu.ge/public/en/news. წვდომის თარიღი: 2025 წლის მაისი.
- UG School. "UG სკოლის მოსწავლეების წარმატება საერთაშორისო კონფერენცია I-FEST 2024 ტუნისში." ugschool.edu.ge/public/en/news. წვდომის თარიღი: 2025 წლის მაისი.
- UG School. "UG სკოლის მოსწავლეების წარმატება შტატებში." ugschool.edu.ge/public/en/news. წვდომის თარიღი: 2025 წლის მარტი.
- UG School. "UG სკოლის წარმატება ნორჩ ფიზიკოსთა ტურნირზე." *ugschool.edu.ge.* წვდომის თარიღი: 2025 წლის მარტი.
- UG School. "UG სკოლა საერთაშორისო კონფერენციაზე I-FEST 2023." *ugschool.edu.gelpubliclenlnews*. წვდომის თარიღი: 2025 წლის მაისი.
- USAYPT. "Our Philosophy: The Search For the Truth." www.usaypt.org. წვდომის თარიღი: 2025 წლის მარტი.

# ჟურნალის პირველ ნომერზე წვლილის შემტანთა სია და განსაკუთრებული მადლობა

#### წვლილის შემტანები:

ანასტასია ხარაშვილი - ინტერვიუ და ტრანსკრიპცია
ანა მწარიაშვილი - ინტერვიუ და ტრანსკრიპცია
ქრისტინა რაფავა - კლუბის სახელწოდების, პოსტერის და
სლოგანის შემუშავება
ლუკა როგავა - კლუბის სახელწოდების, პოსტერის და
სლოგანის შემუშავება
ნიტა დემეტრაშვილი - ინტერვიუ და ტრანსკრიპცია
ნინა მელიქიშვილი - ინტერვიუ, ტრანსკრიპცია და სტატიის წერა
ნიცა ვაშაკიძე - ინტერვიუ, ტრანსკრიპცია და თარგმნა
სოფიო შაყულაშვილი - ინტერვიუ, ტრანსკრიპცია, სტატიის წერა
და თარგმნა

#### რედაქტორი:

ჯემა მურღულია - რედაქტორი, ინგლისური ნაწილი

#### განსაკუთრებული მადლობა:

განსაკუთრებული მადლობა მე-8ბ კლასის მოსწავლეს, სოფიო შაყულაშვილს, ამ ჟურნალის პირველი ნომრის შექმნაში განსაკუთრებული წვლილის შეტანისთვის.

ასევე გვინდა მადლობა გადავუხადოთ "ChemField"-ის კლუბის წევრებსა და ჩვენს მენტორს, ირმა ყარაშვილის, ჟურნალის შექმნის იდეისთვის და ჟურნალის პირველ ნომერზე მუშაობისას გაწეული მუდმივი მხარდაჭერისთვის.